ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4014936

ნომერი: AR1566028

თარიღი : 20.12.2017

გაცემის თარიღი : 15.06.2018

გაცნობის თარიღი : 15.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N15-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი, I ქუჩა, N22-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 15 / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა I , N 18/3 , (ნაკვ.02/006) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური გაგნიაშვილი პ/ნ 01027062813
- თბილისი აეროდრომის დას. ზაქარია მხარგრძელის ქ. N 6ა

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "X-style+" კოდი: 406170361

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 20 დეკემბერს განცხადებით მომართა მოქალაქე თემურ გაგნიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებით №01.19.36.002.042 (864 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 ივლისის #1-1389 ბრძანებით №01.19.36.002.042 (864 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე კ2 განისაზღვრა 4.3-ით.
დღეის მდგომარეობით გაზრდილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, (ს/კ.N01.19.36.002.053, ფართობი 919 კვ.მ.) განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ცვლილების 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებაში დაფიქსირებას. ცვლილება ასევე შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 ივლისის №1-1389 ბრძანებაში და მერის 2018 წლის 13 ივნისის №1-308 ბრძანებით განახლებული საკადასტრო ერთეულისთვისაც კ-2 კოეიფცინეტი განისაზღვრა - 4,3.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო მონაცემები: საკადასტრო კოდი: 01.19.36.002.053; განცხადების ნომერი: 892017165421; მომზადების თარიღი: 04/12/2017; ფართობი: 919 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 1 ივლისის №2659309 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1-308 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.